



საქართველო
Deloitte Legal
10 თებერვალი 2020

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

2019 წლის 20 დეკემბრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა სირთულეებში მყოფი კომერციული ბანკების მიმართ სარეზოლუციო ღონისძიებების გატარების უფლება

„ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიზანია კომერციული ბანკების ფინანსური სირთულეების ადრეული იდენტიფიკაცია და აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა თავდაპირველად კომერციული ბანკის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით, ხოლო აღნიშნულის წარუმატებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით (რეზოლუციის გეგმა) ან ეროვნული ბანკის სხვა სარეზოლუციო უფლებამოსილების განხორციელების (რეზოლუცია) გზით. კომერციული ბანკის რეზოლუციის მიზანია დაიცვას ფინანსური სექტორის სტაბილურობა, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური სირთულეების დროს, პრობლემური კომერციული ბანკის ლიკვიდაცია გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს ფინანსურ სექტორზე, მოხდეს ალტერნატიული გზის – რეზოლუციის – გამოყენება.

ახალი რედაქციით, ახლებურად განისაზღვრა დროებითი ბანკის ცნება, რომელიც იქმნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. ახალი განმარტებით, შესაძლებელია რეზოლუციის ქვეშ მყოფი კომერციული ბანკის აქციებისა და აქტივების გადაცემა.

ცვლილებების მიხედვით, ეროვნული ბანკი რეზოლუციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ხსნის სარეზოლუციო ფონდს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, მათ შორის რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე ან დროებით ბანკზე, სესხის ან გარანტიის მიცემის გზით.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ“

საქართველოს მთავრობის ახალი დადგენილებით ხელახლა განისაზღვრა თავისუფალი ზონის შექმნის პირობები და საამისოდ წარსადგენი გარანტიის ოდენობა. ახალი რეგულაციით, თავისუფალი ზონის ორგანიზატორის მიერ წარსადგენი გარანტიის ოდენობა განისაზღვრება წარდგენილი თავისუფალი ზონის მოწყობის გეგმის შესაბამისად, თავისუფალი ზონის მიწის ნაკვეთის ფართობის ყოველ 1 კვადრატულ მეტრზე 2 ევროს ოდენობით, არაუმეტეს 500 000 ევროს ოდენობისა. საგულისხმოა, რომ მანამდე არსებული რეგულაციით, გარანტიის ოდენობა 1 კვ.მ.-ზე განისაზღვრებოდა 5 ევროს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა 2 მლნ ევროს ოდენობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N240/04

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, განისაზღვრა მაღალი რისკის მქონე 25 იურისდიქცია. კანონის თანახმად, ამ 25 სახელმწიფოში ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ასეთი იურისდიქციის მქონე ქვეყნებში ანგარიშვალდებულმა პირმა (ფინანსური ინსტიტუტები, არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირები და საჯარო დაწესებულებები) უნდა განახორციელონ გამლიერებული პრევენციული ღონისძიებები ამ იურისდიქციებში მყოფი კლიენტების მიმართ, რაც, დამატებით, გულისხმობს: კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის ქონებისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვებას, საქმიანი ურთიერთობის განზრახული ხასიათის დადგენას და სხვა ღონისძიებებს.

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-687-658-2016 საკორპორაციო დავებში პარტნიორის მიერ დერივაციული სარჩელის აღძვრის პროცედურასთან დაკავშირებით იმსჯელა.

სასამართლოს მსჯელობით, დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე (საწარმოს პარტნიორი) გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება, პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში, არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სამეცნიერო დოქტრინაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუ აქციონერი (პარტნიორი) საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს (პარტნიორს) სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ამიტომაც, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, თუ მისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. მით უმეტეს, პრაქტიკულ განხორციელებას იქნება მოკლებული საზოგადოების მინორიტარ პარტნიორთა (უმცირესობა) უფლება დაიცვან საზოგადოების ინტერესები სასამართლოსადმი დერივაციული სარჩელის აღძვრით.

სასამართლოს განმარტებით, უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს არ ევალებათ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ფორმალურად დაწესებული წინაპირობების განხორციელება იმისთვის, რომ საწარმოს ინტერესების დასაცავად, მიმართონ სასამართლოს საწარმოს დირექტორების ან სხვა პარტნიორების წინააღმდეგ.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.